საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება №1013
2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქცია თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მასზე კონტროლის განხორციელების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 27 ნოემბრის №1387 ბრძანება.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

შინაგან საქმეთა მინისტრი *ალექსანდრე ჭიკაიძე*

დანართი N1

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქცია

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სისტემაში იარაღის (საბრძოლო მასალა, სამსახურებრივ-საშტატო, სამხედრო-საბრძოლო იარაღი და აღჭურვილობა) აღრიცხვის, ჩამოწერის, შენახვა-დასაწყობების წესსა და პირობებს.

მუხლი 2

ამ ინსტრუქციისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მოსამსახურე – „იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №242 დადგენილებით დამტკიცებული თანამდებობის პირთა ნუსხის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; *(28.04.2014 N 327)*

ბ) იარაღი – იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა.

მუხლი 3

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიციის შეიარაღებაში არსებული სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ნუსხა დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 4

1. სამინისტროს მიერ იარაღის შეძენა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

2. სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გამოყენება განისაზღვრება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით მინიჭებული უფლებებით.

თავი II
იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის აღრიცხვა

მუხლი 5 *(20.04.2016 N 202 გავრცელდეს 2016 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის აღრიცხვას და იარაღის აღდგენა-მოდერნიზებას სამინისტროს სისტემაში უზრუნველყოფს სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შეიარაღების სამმართველო (შემდგომში – შეიარაღების სამმართველო).

მუხლი 6

სისტემაში იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის აღრიცხვა უნდა ასახავდეს სამინისტროს შეიარაღების, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის ფაქტობრივ მდგომარეობას.

მუხლი 7

1. იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის სააღრიცხვო დოკუმენტებია: სპეციალური კომპიუტერული პროგრამების მონაცემები, წიგნები, ჟურნალები, ზედდებულები, ბარათები, უწყისები, აქტები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის ბრუნვის ოპერაციები.

2. სპეციალური კომპიუტერული პროგრამების მონაცემები ასახავს სამინისტროს სისტემაში იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის ბრუნვის სრულ ინფორმაციას.

3. სააღრიცხვო წიგნი - ფორმა №1 (დანართი №1) განკუთვნილია იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის აღრიცხვის და მოძრაობის ჩანაწერებისათვის.

4. ამოღებული, ნებაყოფლობით ჩაბარებული, ნაპოვნი შეიარაღების, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის ბრუნვის ჟურნალი – ფორმა №2 (დანართი №2) გაკუთვნილია ამოღებული, ნებაყოფლობით ჩაბარებული, ნაპოვნი შეიარაღების, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის აღრიცხვისათვის.

5. შეიარაღების აღრიცხვისა და მიმაგრების წიგნის - ფორმა №3-ის (დანართი №3) პირველი ნაწილი განკუთვნილია იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის რაოდენობრივი აღრიცხვისათვის, ხოლო მეორე ნაწილი - მათი მოსამსახურეებზე მიმაგრების შესახებ ინფორმაციის ასახვისათვის.

6. მოსამზადებელი და სავარჯიშო სროლის კურსის გავლისას (სასროლეთი და ტირი) გახარჯული საბრძოლო მასალის უწყისი - ფორმა №4 (დანართი №4) წარმოადგენს სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მოსამზადებელი და სავარჯიშო სროლის კურსების გავლისას საბრძოლო მასალის ხარჯვის აღმრიცხველ დოკუმენტს.

7. იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის მიღება-გაცემის წიგნი - ფორმა №5 (დანართი №5) განკუთვნილია:

ა) ნაწილი I - სამორიგეო დანაყოფებიდან მოსამსახურეებზე იარაღის და საბრძოლო მასალის დროებით სამსახურებრივი სარგებლობისთვის გაცემისა და მათი შესანახად მიღების აღრიცხვისათვის;

ბ) ნაწილი II - პასუხისმგებელ ოპერატიულ მორიგეთა მიერ ცვლის გადაბარებისას შეიარაღების მიღება-ჩაბარებისათვის;

გ) ნაწილი III - აღჭურვილობის გაცემისა და მიღების აღრიცხვისათვის.

8. იარაღის მიმაგრების აღრიცხვის ბარათი - ფორმა №7 (დანართი №6) განკუთვნლია სამსახურებრივ-საშტატო იარაღის მოსამსახურეებზე მიმაგრების აღრიცხვისათვის, რომელიც წარმოებს იმ ზედდებულების საფუძველზე, რომლითაც გაიცა ან ჩაბარდა იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა საწყობიდან.

9. დანაკლისების აღრიცხვის წიგნი - ფორმა №9 (დანართი №7) განკუთვნილია სამინისტროს სისტემაში დაღუპვის, განადგურების, არაკანონიერი ან ნორმის ზევით ხარჯვის, ძარცვა-დატაცების, სტიქიური უბედურების, ვადაზე ადრე მწყობრიდან გამოსვლის ან ცვეთის შედეგად დაკარგული მატერიალური საშუალებების „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო–ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის №197 ბრძანებულებით გათვალისწინებული წესით დანაკლისების აღრიცხვისათვის.

10. იარაღის ნომრის ამოტვიფვრის ტექნიკური მონაცემების ნორმები – ფორმა №10 (დანართი №8) ასახავს (ადგენს) იარაღზე ნომრის აღდგენის შემთხვევაში ასოებისა და ციფრების ამოტვიფვრის აუცილებელ ტექნიკურ მოთხოვნებს.

11. შემოსავალ-გასავლისა და სააღრიცხვო დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალი – ფორმა №11 (დანართი №9) განკუთვნილია სააღრიცხვო დოკუმენტების რეგისტრაციისათვის.

12. იარაღის დეფექტის აღრიცხვის ჟურნალი - ფორმა №12 (დანართი №10) განკუთვნილია შეიარაღების სამმართველოში აღსადგენად არსებული შეიარაღების დეფექტთა აღრიცხვისათვის.

13. იარაღზე დაზიანებული ნომრის აღდგენის ან/და ახალი სააღრიცხვო ნომრის მინიჭების რეგისტრაციის ჟურნალი - ფორმა №13 (დანართი №11) განკუთვნილია იარაღზე აღდგენილი დაზიანებული ნომრის და ახალი სააღრიცხვო ნომრის რეგისტრაციისათვის.

14. იარაღის ნომრის აღრიცხვის უწყისი – ფორმა №14 (დანართი №12) წარმოადგენს იარაღის და აღჭურვილობის სააღრიცხვო ნომრების აღწერის უწყისს.

15. ზედდებული - ფორმა №15 (დანართი №13) წარმოადგენს საწყობიდან უფლებამოსილი პირის მიერ ქონების მიღება-გაცემისას შეიარაღების, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის სახეობისა და ოდენობის აღმნიშვნელ დოკუმენტს.

16. იარლიყი – ფორმა №16 (დანართი №14) წარმოადგენს საწყობში განთავსებული ნივთმტკიცების რიგითობის მაჩვენებელ დოკუმენტს.

17. იარაღის შემცვლელი ბარათი - ფორმა №17 (დანართი №15) წარმოადგენს მოსამსახურეზე იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის განპიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტს სამორიგეო დანაყოფებიდან იარაღისა და საბრძოლო მასალის მიღება-გაცემისას.

18. ნივთმტკიცებების და ამოღებული, ნებაყოფლობით ჩაბარებული, ნაპოვნი იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აქტი – ფორმა №18 (დანართი №16) წარმოადგენს შეიარაღების სამმართველოს საწყობში ნივთმტკიცებების და ამოღებული, ნებაყოფლობით ჩაბარებული, ნაპოვნი იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის ჩაბარებისას მათი საწყობში მიღების ნამდვილობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

19. საწყობში ჩაბარებული ნივთმტკიცებების ბრუნვის ჟურნალი - ფორმა №20 (დანართი №17) წარმოადგენს შეიარაღების სამმართველოს საწყობში არსებული (განთავსებული) ნივთმტკიცებების აღრიცხვის დოკუმენტს.

20. საინვენტარიზაციო აღწერა და შესამოწმებელი უწყისი (დანართი №18) წარმოადგენს ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგების აღმრიცხველ დოკუმენტს.

მუხლი 8

სპეციალური კომპიუტერული პროგრამების მონაცემები, დადასტურებული სათანადო ხელმოწერებითა და ბეჭდებით, წარმოადგენს აღრიცხვის დოკუმენტს.

მუხლი 9

სააღრიცხვო დოკუმენტები უნდა მოიცავდეს: რეგისტრაციის ნომერს, სააღრიცხვო ოპერაციის წარმოების თარიღს, შემდგენი პირის ან/და დანაყოფის, ასევე შეიარაღების, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის რაოდენობის მდგომარეობის მონაცემებს, იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის მიღებაზე/გადაცემაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების სათანადო ხელმოწერებს.

მუხლი 10

ჩანაწერები სააღრიცხვო დოკუმენტებში იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის ბრუნვის შესახებ იწარმოება დედნების საფუძველზე.

მუხლი 11

სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებზე რიცხული იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის აღრიცხვის შედარება შეიარაღების სამმართველოს სააღრიცხვო მონაცემებთან წარმოებს ინვენტარიზაციის ჩატარების წინ, შეიარაღების სამმართველოს გეგმის შესაბამისად დადგენილი დროისა და წესის მიხედვით.

მუხლი 12

1. სააღრიცხვო დოკუმენტებში მექანიკური შეცდომების გასწორება ხორციელდება სათანადო პატაკების საფუძველზე.

2. აღრიცხვის ამსახველი დოკუმენტები იკერება საქმეებად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი III
სამინისტროს სისტემაში იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის მიღება, გაცემა და ჩაბარება

მუხლი 13

სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებს და ტერიტორიულ ორგანოებს უფლება აქვთ, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად იქონიონ იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის გარკვეული ოდენობა.

მუხლი 14

შეიარაღების სამმართველოს საწყობებიდან ქონების გაცემის (მიღება) საფუძველს წარმოადგენს დანაყოფის ხელმძღვანელის მოტივირებული პატაკი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) (უფლებამოსილი მინისტრის მოადგილის) მიმართ, რომელიც უნდა მოიცავდეს იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის დასახელების, რაოდენობის და ქონების მიმღები უფლებამოსილი პირის მონაცემებს (დაკავებული თანამდებობა, გვარი, სახელი, თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი).

მუხლი 15

1. შეიარაღების სამმართველოს საწყობიდან ქონების გაცემა და ჩაბარება წარმოებს ზედდებულებით (დანართი N13) იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის რაოდენობის, სააღრიცხვო ნომრის და გამოშვების თარიღის მითითებით, დადასტურებული შეიარაღების სამმართველოს აღრიცხვის ქვედანაყოფის უფროსის ან

აღრიცხვაზე პასუხისმგებელი და საწყობიდან ქონების გაცემასა და მიღებაზე უფლებამოსილი პირების სათანადო ხელმოწერებით.

2. აღნიშნული ზედდებული ივსება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან დედანი ინახება სააღრიცხვო საქმეში, მეორე პირი გადაეცემა მიმღებს (ჩამბარებელი), ხოლო მესამე - რჩება საწყობში.

მუხლი 16

დაუშვებელია მომართვის დოკუმენტში მითითებული ქონების გარდა სხვა სახის ქონების გაცემა, თუ დამატებითი მოთხოვნა არ წარმოადგენს გასაცემი ძირითადი ქონების მაკომპლექტებელ მასალას და აღჭურვილობას.

მუხლი 17

სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების დაქვემდებარებაში არსებულ დანაყოფებს შორის იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის გადაცემა ხორციელდება მხოლოდ სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის ნებართვით. გადაცემისას ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

მუხლი 18

სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებს შორის ქონების ურთიერთგადაცემა ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც მოწმდება შეიარაღებაზე პასუხისმგებელი პირების ხელმოწერებით და მტკიცდება აღნიშნული ტერიტორიული ორგანოების და სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების მიერ. აქტი მინისტრის ან უფლებამოსილი მინისტრის მოადგილის თანხმობით იგზავნება შეიარაღების სამმართველოში.

მუხლი 19

შეიარაღების სამმართველოს საწყობიდან სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების მიერ ქონების მიღების შემდეგ, შესაბამისი დანაყოფის შეიარაღებაზე პასუხისმგებელი (სპეციალისტი შეიარაღების ხაზით) პირი მიღებულ ქონებას ზედდებულებით, უწყისებით ან მიღება-ჩაბარების აქტებით ანაწილებს ქვედანაყოფებში მათი მოთხოვნების შესაბამისად სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის ნებართვით, დანაყოფებზე რიცხული შეიარაღების აღრიცხვის წიგნში (დანართი N3) სათანადო ცვლილებების შეტანით.

მუხლი 20

1. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ოპერატიული სამორიგეოებიდან ქონების გაცემა წარმოებს დანაყოფის მორიგის მიერ, დანაყოფის ხელმძღვანელი პირების ნებართვების საფუძველზე მიღება-გაცემის წიგნში (დანართი N5) შესაბამისი გაფორმებით ან განსაკუთრებულ შემთხვევაში, დანაყოფის

ფუნქციონირების სპეციფიკიდან გამომდინარე სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

2. საგანგებო მდგომარეობისას, ოპერატიული დანაყოფის მიერ დავალების შესრულებისას იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის მიღება–გაცემა ხორციელდება წიგნში (დანართი N5) შესაბამისი გაფორმებით.

3. საგანგებო მდგომარეობის მოხსნის, დავალების შესრულების ან სავარჯიშო სროლების დასრულების შემდგომ იარაღი და ნარჩენი საბრძოლო მასალა დაუყოვნებლივ ბარდება დანაყოფის მორიგეს.

მუხლი 21

დანაყოფის ოპერატიულ სამორიგეოში იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის დაბრუნების შეფერხებისას, ოპერატიული მორიგე შეფერხების მიზეზის გაურკვევლობის თითოეულ ფაქტის შესახებ პატაკით აცნობებს დანაყოფის ხელმძღვანელს. იარაღის დაბრუნების უსაფუძვლო შეყოვნებისას დგება მოსამსახურის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი.

მუხლი 22

მორიგეობის გადაბარებისას ოპერატიული მორიგე ვალდებულია შეამოწმოს იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის ფაქტობრივი და დოკუმენტალური მდგომარეობის რეალობა და სისწორე (დანართები N5 და N3).

თავი IV
სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება და შენახვა

მუხლი 23

1. სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გასაცემად და მუდმივი ტარების უფლების მისაღებად მოსამსახურე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა ეკავოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №242 დადგენილებით დამტკიცებული თანამდებობის პირთა ნუსხის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობა; *(28.04.2014 N 327)*

ბ) მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გ) მოსამსახურეს უნდა ჰქონდეს მიღებული დადებითი დასკვნა საცეცხლე მომზადების სპეციალური კურსების გავლისას.

2. მოსამსახურეს, სამინისტროს სისტემაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, სამსახურებრივ-საშტატო იარაღი მუდმივი ტარების უფლებით გადაეცემა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.

3. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოსამსახურისთვის საკუთრებაში არსებული იარაღის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსით გაცემა ხორციელდება სამინისტროს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის უფლებამოსილი დანაყოფის მიერ გაცემული მოწმობის საფუძველზე.

მუხლი 24 *(20.04.2016 N 202 გავრცელდეს 2016 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

1. 23-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უფლებამოსილი მინისტრის მოადგილის მიერ გაცემული ნებართვის შესაბამისად, სამინისტროს შეიარაღების სამმართველო სამსახურებრივ-საშტატო იარაღს (ნებართვის გაცემიდან არაუმეტეს ერთი თვის ვადაში) გასცემს:

ა) სამინისტროს სისტემის (სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების გარდა) მოსამსახურეებზე, პირის მოტივირებულ მოთხოვნაზე (პატაკი) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის წარდგინების (რეზოლუცია) შესაბამისად;

ბ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების მიერ თანამდებობაზე დანიშნულ პირებზე, მათი მოტივირებული მოთხოვნის შესაბამისად.

2. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეებზე სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გაცემა წარმოებს აღნიშნული დანაყოფების ხელმძღვანელთა მიერ ამ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 25

წინამდებარე ინსტრუქციის 24–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოსამსახურეებს, სამინისტროს სისტემაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, სამსახურებრივ-საშტატო იარაღი მუდმივი ტარების უფლებით გადაეცემათ პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, ხოლო 24–ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დანაყოფებში შესაბამის თანამდებობებზე გადასვლისას ან მათი სისტემიდან დათხოვნის შემთხვევაში ევალებათ მათზე განპიროვნებული სამსახურებრივ-საშტატო იარაღი დადგენილი წესით ჩააბარონ შეიარაღების სამმართველოს.

მუხლი 26

1. სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შეიარაღების სამმართველოს ინსტრუქციის 24–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანამშრომელთა თანამდებობრივი გადაადგილების შესახებ .

2. ინსტრუქციის 24–ე მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული დანაყოფების საკადრო დანაყოფები ვალდებული არიან თანამშრომელთა თანამდებობრივი გადაადგილების შესახებ აცნობონ ადგილებზე შეიარაღებაზე პასუხისმგებელ პირებს.

მუხლი 27

ინსტრუქციის 24–ე მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული დანაყოფების ხელმძღვანელები ვალდებული არიან:

ა) უზრუნველყონ დაქვემდებარებულ დანაყოფებში იარაღისა და საბრძოლო მასალის ბრუნვაზე კონტროლი;

ბ) შეიარაღებაზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად უზრუნველყონ მოსამსახურეთა მიერ (დაზიანების ან გადაკეთების შემთხვევაში) ჩაბარებული იარაღის სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოსთვის გადაცემა მათი ბალისტიკური შემოწმების მიზნით;

გ) დაქვემდებარებულ დანაყოფში იარაღსა და საბრძოლო მასალასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე დაუყოვნებლივ აცნობონ სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და შეიარაღების სამმართველოს;

დ) უზრუნველყონ შეიარაღების სამმართველოს მოთხოვნის შესაბამისად დანაყოფში იარაღისა და საბრძოლო მასალის ბრუნვის შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდება.

მუხლი 28

ინსტრუქციის 24–ე მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებულ დანაყოფებზე (გარდა სამინისტროს სახელწიფო საქვეუწყებო დაწესებულების და სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა) შეიარაღების სამმართველოს მიერ იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა გაიცემა აღნიშნული დანაყოფების ხელმძღვანელთა მოთხოვნაზე (პატაკი) უფლებამოსილი მინისტრის მოადგილის ნებართვის (რეზოლუცია) შესაბამისად.

მუხლი 29

1. სამინისტროს მოსამსახურეთა ქვეყნის საზღვრებს გარეთ მივლინების პერიოდში, მათზე რიცხული სამსახურებრივ-საშტატო იარაღი წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილი წესით ბარდება შესაბამის ოპერატიულ–სამორიგეო ქვედანაყოფს. აღნიშნულ შემთხვევებში მოსამსახურეს ეძლევა იარაღის შემცვლელი ბარათი (დანართი N15).

2. სამინისტროს მოსამსახურე ვალდებულია სამინისტროს სისტემიდან დათხოვნისას დაუყოვნებლივ ჩააბაროს მასზე რიცხული სამსახურებრივ-საშტატო იარაღი დადგენილი წესით. (წინააღმდეგ შემთხვევაში დგება კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის საკითხი).

მუხლი 30

1. სამინისტროს მოსამსახურის საცხოვრებელ ადგილას სამსახურებრივ–საშტატო იარაღი, მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა ინახება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. იარაღის და საბრძოლო მასალის დაკარგვისას ან გატაცებისას მოსამსახურე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პოლიციის უახლოეს განყოფილებას, უშუალო უფროსს და შეიარაღების სამმართველოს (შეიარაღებაზე პასუხისმგებელ პირს). აღნიშნულის შესახებ ეცნობება აგრეთვე სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელიც დადგენილი წესით ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას.

მუხლი 31

ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით მინისტრის, მინისტრის მოადგილის, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის წერილობითი განკარგულებით, მოსამსახურის მიერ თავის საცხოვრებელ ადგილას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და მისთვის განკუთვნილი მასალის შენახვა დასაშვებია მხოლოდ სამარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს.

მუხლი 32

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები, რომელთა დაქვემდებარებაში მყოფი მოსამსახურეების მიმართაც იწყება დისციპლინური დევნა და სამსახურებრივი შემოწმების პროცესში გენერალური ინსპექციის წარდგინების საფუძველზე ან მინისტრის ბრძანებით აყვანილ იქნებიან კადრების განკარგულებაში ვალდებული არიან უზრუნველყონ აღნიშნულ პირებზე განპიროვნებული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის შესაბამისი წესით ჩამორთმევა-ჩაბარება.

თავი V
იარაღის ჯილდოდ გადაცემა

მუხლი 33

1. მინისტრის სამართლებრივი აქტით სამოქალაქო და სამსახურებრივ-საშტატო იარაღი (საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა) კანონმდებლობით უფლებამოსილ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს (უცხო ქვეყნის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები), ასევე სამინისტროს მოსამსახურეებს ჯილდოდ გადაეცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იარაღის (საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა) გაცემას უზრუნველყოფს შეიარაღების სამმართველო დადგენილი წესით, ხოლო სამინისტროს სსიპ – შინაგან საქმეთა სამინიტროს მომსახურების სააგენტო – შესაბამისი ნებართვის გაცემას.

თავი VI
მოსახლეობიდან ამოღებული, ნაპოვნი, ნებაყოფლობით ჩაბარებული და ნივთმტკიცებად ცნობილი იარაღები

მუხლი 34

სამინისტროს დანაყოფები ვალდებული არიან სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები, ამოღებული (ჩამორთმეული), ნებაყოფლობით ჩაბარებული, ნაპოვნი იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა საქმეებზე წინასწარი გამოძიების დამთავრებისთანავე ჩააბარონ შეიარაღების სამმართველოს საწყობს.

მუხლი 35

სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ნივთმტკიცებები, ამოღებული (ჩამორთმეული), ნებაყოფლობით ჩაბარებული, ნაპოვნი იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის შეიარაღების სამმართველოს საწყობში ჩაბარებას უზრუნველყოფს წარმომდგენი რეგისტრაციისთანავე.

მუხლი 36

ამოღებული (ჩამორთმეული), ნებაყოფლობით ჩაბარებული, ნაპოვნი იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის შეიარაღების სამმართველოს საწყობში მიღება წარმოებს ჩამბარებლის მომართვის (წერილი ან სამსახურებრივი ბარათი შეიარაღების სამმართველოს უფროსის სახელზე) საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთოდეს შესაბამისი დოკუმენტაცია:

ა) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენი, განჩინება, დადგენილება) ამ დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ;

ბ) ქარხნული ნომრის არსებობის შემთხვევაში, სამინისტროს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის ცნობა მითითებული იარაღის ძებნისა და რეგისტრაციის შესახებ;

გ) ექსპერტის დასკვნა ბალისტიკური გამოკვლევის შესახებ;

დ) პირად საკუთრებაში მყოფ იარაღსა და საბრძოლო მასალაზე - სასამართლო გადაწყვეტილება (განაჩენი, განჩინება, დადგენილება) მესაკუთრისათვის რეგისტრირებული იარაღის კონფისკაციის შესახებ.

მუხლი 37

სამინისტროს დანაყოფების და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ამოღებული (ჩამორთმეული), ნებაყოფლობით ჩაბარებული, ნაპოვნი იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის ჩაბარებისას წარმოდგენილი დოკუმენტების 36-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენისა და კომპიუტერულ პროგრამაში აღრიცხვა – რეგისტრაციის შემდეგ, შეიარაღების სამმართველოს საწყობის პასუხისმგებელი პირი სამსახურებრივი ბარათის, მიმართვის საფუძველზე ახორციელებს აღრიცხვას, საწყობში არსებული ამოღებული (ჩამორთმეული), ნებაყოფლობით ჩაბარებული, ნაპოვნი შეიარაღების, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის ბრუნვის ჟურნალში (დანართი N2), რის შემდგომაც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ორ ეგზემპლარად (დანართი N16), რომლის დედანი დაერთვის შემოსულ დოკუმენტაციას, ხოლო მეორე პირი გადაეცემა ჩამბარებელს.

მუხლი 38

შეხედულებისამებრ ამოღებული (ჩამორთმეული), ნებაყოფლობით ჩაბარებული, ნაპოვნი იარაღის დასაწყობების შემდეგ, უფლებამოსილი მინისტრის მოადგილის გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიარაღების სამმართველოს მიერ დგინდება იარაღის საბრძოლო ვარგისიანობა. დადებით შემთხვევაში, დგება საკითხი კანონმდებლობით დადგენილი წესით „სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად

ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N771 ბრძანების მიხედვით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს კონკრეტული იარაღის სამსახურებრივ-საშტატო კუთვნილების შესავსებად სამინისტროს ბალანსზე აყვანისა და შესაბამისი აღრიცხვის შესახებ. იარაღზე ნომრის არქონის შემთხვევაში შეიარაღების სამმართველო უზრუნველყოფს ახალი სააღრიცხვო ნომრის მინიჭებას დადგენილი წესით (დანართი N8).

მუხლი 39

წარმოებაში მყოფ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ნივთმტკიცების შეიარაღების სამმართველოს საწყობში მიღება ხორციელდება უშუალოდ ჩამბარებლის მიერ მოტივირებული მომართვის საფუძველზე (შეიარაღების სამმართველოს უფროსის სახელზე), რომელსაც თან უნდა ერთოდეს:

ა) მომართვა სისხლის სამართლის საქმის ნომრის და ბრალდებულისა და წარმოსადგენი ნივთმტკიცების მითითებით;

ბ) ექსპერტის დასკვნა ბალისტიკური გამოკვლევის შესახებ;

გ) ნომრიან იარაღზე ცნობა სამინისტროს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტიდან მითითებული იარაღის რეგისტრაციისა და ძებნაში არყოფნის შესახებ.

მუხლი 40

სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ნივთმტკიცებები: იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა, საქმისწარმოების დამთავრებამდე აღირიცხება ნივთმტკიცების აღრიცხვის კომპიუტერულ პროგრამაში და საწყობში ჩაბარებული ნივთმტკიცებების ბრუნვის ჟურნალში (დანართი N20). აღნიშნული კატეგორიის ქონების ჩაბარების დროს წარმოდგენილი დოკუმენტების 39-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის და კომპიუტერულ პროგრამაში რეგისტრაციის შემდეგ, შეიარაღების სამმართველოს საწყობის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, სისხლის სამართლის საქმისმწარმოებელი ორგანოს ელექტრონული მომართვის საფუძველზე ახორციელებს ნივთმტკიცების რეგისტრაციას, საწყობში არსებულ ნივთმტკიცებების ბრუნვის ჟურნალში (დანართი N17), რის შემდეგაც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი N16) ორ ეგზემპლარად, რომლის დედანი დაერთვის შემოსულ დოკუმენტაციას, ხოლო მეორე პირი გადაეცემა ჩამბარებელს. ნივთმტკიცებას ეკვრება სათანადო იარლიყი (დანართი N14).

მუხლი 41

წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ნივთმტკიცებები, (იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა) ინახება შეიარაღების სამმართველოს ცალკე საწყობში. სისხლის სამართლის საქმისწარმოებით დამთავრებისას, სასამართლოს მიერ ნივთმტკიცების სამინისტროს მიერ შემდგომი განკარგვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, შეიარაღების სამმართველოს მიერ ხორციელდება აღნიშნული ნივთმტკიცების კომისიური წესით გახსნა (კომისიაში სავალდებულოა

საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოსა წარმომადგენლის არსებობა), რის თაობაზეც დგება სათანადო აქტი და მას ენიჭება ამოღებული ქონების სტატუსი.

მუხლი 42

შეიარაღების სამმართველოს საწყობიდან სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ნივთმტკიცების გამოთხოვა ხორციელდება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მოთხოვნის (წერილი ან სამსახურებრივი ბარათი) საფუძველზე ნივთმტკიცების გამტანი პირის მითითებით. აღნიშნულ შემთხვევაში ორივე მხარის ხელმოწერით დგება მიღება-ჩაბარების აქტი ორ ეგზემპლარად, რომელთაგან დედანი რჩება საქმეში, ხოლო ასლი გადაეცემა მიმღებს.

მუხლი 43

მოქალაქის (თანამშრომელი) მიერ იარაღის სამინისტროს სსიპ – შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ლეგალიზაციისას, კონკრეტული იარაღის სამინისტროს ბალანსზე არსებობის შემთხვევაში, მოტივირებული წერილით დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამის დანაყოფს, ქონების ჩამორთმევის ღონისძიებების უზრუნველყოფისა და ინფორმაციას (საკუთარ საინფორმაციო ბაზაში არსებული მონაცემების მიხედვით) შემდგომი რეაგირებისათვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციისათვის.

თავი VII
იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის შენახვა

მუხლი 44

სამინისტროს სისტემაში იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა ინახება კანონმდებლობის შესაბამისად, წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილი წესით.

მუხლი 45

1. სამინისტროს სისტემაში იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის შესანახად გამოყენებული უნდა იყოს სპეციალური საწყობები, რომლებიც აკმაყოფილებენ შენახვისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სასაწყობო სათავსოების ფანჯრები და სავენტილაციო ღიობები აღჭურვილი უნდა იქნეს ძლიერი საკეტებით და ლითონის გისოსებით; საიარაღო ოთახი (სამორიგეო) საწყობის სათავსოები მოწყობილი უნდა იქნეს იარაღის შესანახი პირამიდებით, თაროებითა და კარადებით.

3. იარაღისა და საბრძოლო მასალის საწყობი და საიარაღო ოთახი ბლოკირებული უნდა იყოს სიგნალიზაციით, რომლის გამართული მუშაობა მოწმდება ყოველდღიურად საწყობის უფროსის მიერ, აგრეთვე ოპერატიული მორიგის მიერ მორიგეობის მიღებისას (ჩაბარებისას). საწყობები ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სადღეღამისო შეიარაღებული დაცვით.

მუხლი 46

1. საწყობებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის შენახვისა და დაცვის წესები.

2. საწყობებში სახანძრო უსაფრთხოების პირობების დაცვისას დასაშვებია ელექტროგანათება, ხოლო საწყობში ნავთის ფარნის, ლამპების, ჩირაღდნების, სანთლებისა და ღია ალით, აგრეთვე თხევადი საწვავის გამოყენებით გასანათებელი ხელსაწყოების გამოყენება დაუშვებელია.

3. აკრძალულია თამბაქოს მოწევა სასაწყობო სათავსოების შიგნით და საწყობების ტერიტორიაზე.

4. სათავსოებში, სადაც ინახება იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა, დაუშვებელია საწვავის და ადვილადაალებადი მასალის შენახვა.

მუხლი 47

1. საწყობში (საიარაღო ოთახი) იარაღი ინახება განმუხტულ მდგომარეობაში, ცალკეული სახეობებისა და კატეგორიების მიხედვით.

2. ნივთმტკიცებად ცნობილი, ამოღებული (ჩამორთმეული), ნებაყოფლობით ჩაბარებული და ნაპოვნი იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა უნდა ინახებოდეს ცალკე საწყობში (საიარაღო ოთახში ან საიარაღო ოთახში არსებულ ცალკე რკინის კარადაში).

მუხლი 48

1. დაუშვებელია ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნების, ხელყუმბარების ფალიის, პიროტექნიკური საშუალებების ჰერმეტული დაგმანვის გახსნა განსაკუთრებული აუცილებლობის გარდა.

2. საწყობში (საიარაღო ოთახი) ჰერმეტულ მდგომარეობაში მყოფი საბრძოლო მასალა საკონტროლო-ტექნიკურ დათვალიერებას არ ექვემდებარება. დათვალიერება ხდება მხოლოდ ყუთების გარეგანი გამართულობის თვალსაზრისით.

მუხლი 49

1. სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებში იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის საწყობის და ლითონის კარადების გასაღებების ორიგინალები ინახება მცირე ზომის სპეციალურ ყუთში, დალუქულ მდგომარეობაში (დანაყოფის ოპერატიულ მორიგესთან ან სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტის შესაბამის დანაყოფში). კატეგორიულად იკრძალება გასაღებების გადაცემა საწყობის უფროსის ან/და შეიარაღებაზე პასუხისმგებელი პირის გარდა. გასაღებების ჩაბარების დროის შესახებ შესაბამისი აღნიშვნა კეთდება გასაღების მიღება-ჩაბარების ჟურნალში. ბეჭედი (პირადი ლუქი) რჩება საწყობის უფროსთან ან/და შეიარაღებაზე პასუხისმგებელ პირთან.

2. მცირე ზომის სპეციალურ ყუთში (დალუქულ მდგომარეობაში) მოთავსებული იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის საწყობის და ლითონის კარადების გასაღებების მეორე ეგზემპლარები მუდმივად ინახება სამინისტროს ადმინისტრაციის საკოორდინაციო საქმეთა სამმართველოს ოპერატიულ–სამორიგეო სამსახურში. ამ ეგზემპლარების გაცემა გასაღებების დაკარგვის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ

მინისტრის ან უფლებამოსილი მინისტრის მოადგილის თანხმობით (კარის გახსნა ხდება კომისიური წესით). გასაღების დაკარგვისას საკეტები იცვლება დაუყოვნებლივ.

3. განსაკუთრებულ შემთხვევაში საწყობისა და საიარაღო ოთახის კარების გახსნა დასაშვებია კომისიური წესით შეიარაღების სამმართველოს უფროსის (მოადგილე) თანხმობით, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სათადარიგო გასაღებების (ორიგინალი) საშუალებით, რის შესახებაც დგება სათანადო აქტი შესაბამისი ხელმოწერებით.

მუხლი 50

1. სამინისტროს ტერიტორიულ დანაყოფებში იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის საწყობის, საიარაღო ოთახისა და მათში განთავსებული სეიფების და ლითონის კარადების გასაღებების ორიგინალები ინახება მცირე ზომის სპეციალურ ყუთში, დალუქულ მდგომარეობაში, დანაყოფის ოპერატიულ მორიგესთან. კატეგორიულად იკრძალება გასაღებების გადაცემა საწყობის უფროსის ან/და შეიარაღებაზე პასუხისმგებელი პირის გარდა. გასაღებების ჩაბარების დროის შესახებ შესაბამისი აღნიშვნა კეთდება გასაღების მიღება-ჩაბარების ჟურნალში. ბეჭედი (პირადი ლუქი) რჩება საწყობის უფროსთან ან/და შეიარაღებაზე პასუხისმგებელ პირთან.

2. მცირე ზომის სპეციალურ ყუთში (დალუქულ მდგომარეობაში) მოთავსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის საწყობის, საიარაღო ოთახისა და მათში განთავსებული სეიფების და ლითონის კარადების გასაღებების მეორე ეგზემპლარები მუდმივად ინახება სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ოპერატიულ–სამორიგეო დანაყოფებში; აღნიშნული ეგზემპლარების გაცემა დასაშვებია მხოლოდ გასაღებების დაკარგვის შემთხვევაში დანაყოფის უფროსის თანხმობით (კარების გახსნა ხდება კომისიური წესით). გასაღებების დაკარგვისას საკეტები იცვლება დაუყოვნებლივ.

3. განსაკუთრებულ შემთხვევაში საწყობისა და საიარაღო ოთახის კარების გახსნა დასაშვებია კომისიური წესით დანაყოფის უფროსის (მოადგილე) თანხმობით, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გასაღებების (ორიგინალი) საშუალებით, რის შესახებაც დგება სათანადო აქტი შესაბამისი ხელმოწერებით.

4. საწყობისა და საიარაღო ოთახის კარების კომისიური წესით გახსნის შემდეგ, შეიარაღებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შეადაროს სააღრიცხვო მონაცემები და ადგილზე არსებული ფაქტობრივ მდგომარეობასთან, შეადგინოს აქტი და აღნიშნულის თაობაზე მოახსენოს დანაყოფის უფროსს.

მუხლი 51

სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებსა და ტერიტორიულ დანაყოფებში ნივთმტკიცებები, ამოღებული (ჩამორთმეული), ნებაყოფლობით ჩაბარებული, ნაპოვნი იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა ინახება ცალკე საწყობში (ნივთმტკიცებათა ოთახში ან საიარაღო ოთახში არსებულ ცალკე რკინის კარადებში), ხოლო– საქმეზე წინასწარი საგამოძიებო მოქმედებების დამთავრებისთანავე (არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში) ბარდება შეიარაღების სამმართველოს საწყობს ამავე ინსტრუქციით დადგენილი წესით

თავი VIII
იარაღის გადატანა-გადაზიდვა

მუხლი 52

აკრძალულია იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვა (მინისტრთან ან მინისტრის მოადგილესთან შეთანხმებით) შეიარაღების სამმართველოს უფროსთან ან/და სტრუქტურული და ტერიტორიული დანაყოფის უფროსთან შეთანხმებული შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე.

მუხლი 53

იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვა უნდა განხორციელდეს დაცვის (ან ოპერატიულ თანამშრომელთა) თანხლებით, დაცულ მდგომარეობაში.

თავი IX
იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის ჩამოწერა

მუხლი 54

1. სამინისტროს სპეციალური დანიშნულების საბრძოლო დანაყოფებისათვის მოსამზადებელ კურსებსა და სავარჯიშო სროლებზე გასახარჯი საბრძოლო მასალის ხარჯვის ნორმები განისაზღვრება მინისტრის მიერ (უფლებამოსილი მინისტრის მოადგილის მიერ) დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოებისათვის მოსამზადებელ კურსებსა და სავარჯიშო სროლებზე გასახარჯი საბრძოლო მასალის ხარჯვის ნორმები განისაზღვრება მინისტრთან (უფლებამოსილ მინისტრის მოადგილესთან) შეთანხმებით, დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოსამზადებელ კურსებსა და სავარჯიშო სროლებზე გახარჯული საბრძოლო მასალის ჩამოწერის აქტს ამტკიცებს მინისტრი (უფლებამოსილი მინისტრის მოადგილე), რომელიც წარმოადგენს შეიარაღების სამმართველოს სააღრიცხვო დოკუმენტებში სათანადო ცვლილებების შეტანის საფუძველს.

მუხლი 55

1. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები ვალდებული არიან (სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების გარდა) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 1998 წლის 30 მარტის N130 ბრძანების შესაბამისად უზრუნველყონ (მათდამი დაქვემდებარებული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული გაცემა-ჩაბარების უწყისის საფუძველზე (დანართი N4)) გახარჯული საბრძოლო მასალის თაობაზე კომისიური წესით

შედგენილი ჩამოწერის აქტის (რომელშიც მიეთითება სავარჯიშო კურსის ჩატარების ადგილი, თარიღი, ვარჯიშის სახეობა, ვარჯიშში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა და გახარჯული საბრძოლო ვაზნების რაოდენობა) დამტკიცება.

2. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელთა მიერ დამტკიცებული აქტი და ბრძანების ასლი წარედგინება (წერილობით) მინისტრს (შეიარაღებაზე პასუხისმგებელ მინისტრის მოადგილეს) ჩამოწერის მიზნით, ხოლო მათდამი დაქვემდებარებული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული გაცემა-ჩაბარების უწყისი რჩება ტერიტორიული ორგანოს წამყვან სპეციალისტთან შეიარაღების ხაზით.

მუხლი 56

ჩამოწერის აქტს ცეცხლსასროლი იარაღიდან ექსპერიმენტული სროლების ჩასატარებლად გახარჯული (ვაზნების რაოდენობა განუსაზღვრელია) ვაზნების თაობაზე ამტკიცებს სტრუქტურული დანაყოფის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი და სამ თვეში ერთხელ წარუდგენს (წერილობით) მინისტრს (უფლებამოსილ მინისტრის მოადგილეს) ჩამოწერის მიზნით.

მუხლი 57

ოპერატიულ ღონისძიებებზე გახარჯული საბრძოლო მასალის თაობაზე მოსამსახურეთა ინდივიდუალური პატაკების (პატაკები რჩება ქვედანაყოფში) საფუძველზე ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ შედგენილ ჩამოწერის აქტს ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფის და/ან ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი, რომელიც წარედგინება მინისტრს (უფლებამოსილ მინისტრის მოადგილეს) ჩამოწერის მიზნით.

მუხლი 58

სარიტუალო ღონისძიებისას გახარჯული საბრძოლო ვაზნების რაოდენობაზე შეიარაღების სამმართველოს სააღრიცხვო მონაცემებში ცვლილებების შეტანის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი დანაყოფის ბრძანების გამცემი ხელმძღვანელი პირის მიერ დამტკიცებული საბრძოლო მასალის ჩამოწერის აქტი მინისტრის (უფლებამოსილი მინისტრის მოადგილის) დადებითი რეზოლუციით.

მუხლი 59

იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის დაკარგვის, განადგურების და ა.შ. შემთხვევაში გენერალური ინსპექციისთვის შეტყობინების პარალელურად, წერილობით უნდა ეცნობოს შეიარაღების სამმართველოს მომხდარი ფაქტის შესახებ, რის საფუძველზეც არსებული წესით შეიარაღების სამმართველო ახორციელებს იარაღის მოხსნას დანაყოფიდან და აღრიცხვაზე აყვანას დანაკლისებისა და დანაკარგების წიგნში (დანართი N7).

მუხლი 60

1. შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის ჩამოწერა ხორციელდება „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო–ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის N197 ბრძანებულებისა და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიისა და ექსპერტთა ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 7 დეკემბრის N335 ბრძანებით გათვალისწინებული წესით.

2. აღჭურვილობის (არაძირითადი საშუალებები) ვარგისიანობის დაკარგვის შემთხვევაში სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების (გარდა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა) ხელმძღვანელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი კომისიისა და ექსპერტის აქტის დასკვნის საფუძველზე განიხილება საკითხი ქონების ჩამოწერის თაობაზე.

3. აღჭურვილობის (არაძირითადი საშუალებები) ვარგისიანობის დადგენის მიზნით აღნიშნული კომისიის წევრთაგან შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად აღჭურვილობის (არაძირითადი საშუალებები) განადგურება ხორციელდება მათი სპეციფიკის (თვისობრივი შემადგენლობა) გათვალისწინებით ადგილზე დანაყოფების ან განსაკუთრებულ შემთხვევაში - კომპეტენტური (გამნაღმველთა ჯგუფი) ქვედანაყოფის მიერ.

4. ამ მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტებით გათვალისწინებული წესითა და უფლებამოსილ პირთა მიერ კომისიური წესით ქონების განადგურების აქტი შესათანხმებლად წარედგინება მინისტრს (უფლებამოსილ მინისტრის მოადგილეს).

5. შეთანხმებული განადგურების აქტის საფუძველზე შეიარაღების სამმართველო, სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიულ ორგანოების შეიარაღებაზე პასუხისმგებელი პირები არსებული წესით ახორციელებენ ცვლილებების შეტანას სააღრიცხვო მონაცემებში.

მუხლი 61

პირის მიერ, იარაღის დაკარგვის ფაქტთან დაკავშირებით სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნის (პიროვნების ხარჯზე ქონების ჩამოწერის თაობაზე) საფუძველზე, სამინისტროს ცენტრალურ ბუღალტერიაში თანხის (სამინისტროსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის და აღნიშნული დანაყოფის სათანადო წერილის შესაბამისად, შეიარაღების სამმართველო ახორციელებს აღნიშნული კატეგორიის იარაღის არსებული წესით ჩამოწერას და აღრიცხვას.

თავი X

სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებამოსილებები იარაღის ბრუნვის სფეროში

მუხლი 62

სამინისტრო საკუთარ ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების სამთავრობო დაწესებულებებზე, სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე გადაცემას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან კოორდინაციაში კანონმდებლობით („გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო–ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის N197 ბრძანებულება და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიისა და ექსპერტთა ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 7 დეკემბრის N335 ბრძანება) გათვალისწინებული წესით, ხოლო არაძირითადი საშუალებების გადაცემა ხდება მინისტრის სამართლებრივი აქტის საფუძველზე დადგენილი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 63

ზემოაღნიშნული დაწესებულებები წარმოადგენენ სამინისტროს სისტემაში შემავალ დამოუკიდებელ საბალანსო სუბიექტებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების საფუძველზე, დანაყოფში დამოუკიდებლად ახორციელებენ საკუთარ ბალანსზე რიცხული იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის ბრუნვას, მოსამსახურეებზე იარაღის განპიროვნებას (მიმაგრება), აღრიცხვას და შესაბამისად - ჩამოწერას.

თავი XI
იარაღის შეკეთება და აღდგენა

მუხლი 64

სამინისტროს სისტემაში არსებული გაუმართავი შეიარაღება ექვემდებარება შეკეთებას, ხოლო საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა - შეცვლას. აღნიშნულ შემთხვევებში, დანაყოფის ხელმძღვანელი მოტივირებული წერილით მიმართავს შეიარაღებაზე პასუხისმგებელ მინისტრის მოადგილეს.

მუხლი 65

აუცილებლობის შემთხვევაში იარაღის ტექნიკური მდგომარეობის, მისი შემდგომი გამოყენების ვარგისიანობის დადგენა ან/და გაუმართავი შეიარაღების შეკეთება ხორციელდება შეიარაღების სამმართველოს მიერ.

მუხლი 66

1. სამინისტროს სისტემაში იარაღზე ნომრის ცვეთისას (თუ ნომერი არ იკითხება), მოსამსახურე ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახსენოს უშუალო უფროსს აღნიშნულის თაობაზე, რომელიც თავის მხრივ, იარაღზე შესაძლო ტექნიკური ზემოქმედების კვალის დასადგენად და ტყვია-მასროთეკის ობიექტებთან შედარების მიზნით იარაღს წარუდგენს

სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოს. რომლის მიერაც იარაღზე ბუნებრივი ცვეთის დადგენის შემთხვევაში, სტრუქტურული ქვედანაყოფის ან/და ტერიტორიული ორგანოს უფროსის მიერ დგება მოტივირებული წერილობითი მიმართვა უფლებამოსილი მინისტრის მოადგილის მიმართ იარაღის ნომრის აღდგენის მოთხოვნით.

2. იარაღის განზრახ დაზიანების ან თვითნებურად დატანილი ნომრის აღმოჩენის ან სხვა მსგავსი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში იარაღის წარმდგენი დანაყოფი სათანადო რეაგირებისთვის მიმართავს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

3. სამინისტროს შეიარაღების სამმართველო, ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ახორციელებს იარაღის დაზიანებული ნომრების აღდგენას, უნომრო იარაღზე ახალი ნომრის მინიჭებას (დანართი N8) და რეგისტრირებას სააღრიცხვო ჟურნალში (დანართი N11).

მუხლი 67

სამინისტროს სისტემაში იარაღის შეკეთების დროს გახარჯული სათადარიგო ნაწილების აღრიცხვა წარმოებს იარაღის დეფექტის აღრიცხვის ჟურნალში (დანართი N10) და სათადარიგო ნაწილების აღრიცხვის კართოტეკაში.

მუხლი 68

უფლებამოსილი მინისტრის მოადგილის ნებართვის საფუძველზე, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოები, შეკეთების მიზნით იარაღს აბარებენ შეიარაღების სამმართველოს მიღება-ჩაბარების აქტით ან ზედდებულით, რაც შესაბამისად აისახება შეიარაღების სამმართველოს სააღრიცხვო მონაცემებში.

მუხლი 69

სამინისტროს ერთიან ტყვია–მასროთეკაში რეგისტრაციისათვის, იარაღის აღდგენითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამინისტროს სატაბელო სივრცის შევსების მიზნით იარაღი გადის ბალისტიკურ შემოწმებას, რის შემდეგაც ბარდება შეიარაღების სამმართველოს საწყობს.

თავი XII
სამინისტროს ბალანსზე რიცხული იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის ბრუნვისა და აღრიცხვის საერთო კონტროლი

მუხლი 70

სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებზე რიცხული იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის ინვენტარიზაციას აუცილებლობის შემთხვევაში ახორციელებს მხოლოდ შეიარაღების სამმართველო, რომლის შედეგებზე დაყრდნობითაც ფორმდება ინვენტარიზაციის შესაბამისი უწყისი (დანართი N18).

მუხლი 71

სამინისტროს ყველა ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მისდამი დაქვემდებარებულ ქვედანაყოფში არსებული და მოსამსახურეებზე რიცხული იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის აღრიცხვაზე.

მუხლი 72

სამინისტროს სისტემაში იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის ბრუნვის კანონიერებასთან დაკავშირებულ დარღვევებზე შესაბამისი აქტებისა და მიმართვების საფუძველზე სათანადო რეაგირებას ახორციელებს სამინისტროს გენერალური ინსპექცია.

თავი XIII
დასკვნითი დებულებები

მუხლი 73

ამ ინსტრუქციით დადგენილი იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის ბრუნვის წესების დაცვა სავალდებულოა სამინისტროს ყველა თანამშრომლისათვის. დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 74

საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ინსტრუქციით ან საქართველოს კანონმდებლობით და წამოიჭრება მუშაობის პროცესში, წყდება ამ ინსტრუქციაში ცვლილების ან დამატების შეტანის გზით.

დანართი N2

(ფორმა N1)

_____

(დანაყოფის დასახელება)

შეიარაღების აღრიცხვა

წიგნი

დაიწყო _____ _____ 200 წ.

დამთავრდა _____ _____ 200 წ.

სანომენკლატურო N _____

ანგარიში _____ _____

(დასახელება) აღრიცხვის ერთეული

მუხლის რიგითის მიხედვით	ჩანაწერის თარიღი	შემოსვლის ჟურნალის მიხედვით	ოპერაციის დასახელება	მოძრაობა შინაგან საქმეთა ორგანოში			მათ შორის ირიცხება საწყობში					სარგებლობაშია	მოძრაობა თითოეულ ოპერაციაზე	მოძრაობაში არსებულთაგან არიცხია						
				მემოსავალი	გასავალი	საერთნაშთი	კატეგორია	2 კატეგორია	3 კატეგორია	4 კატეგორია	სულ			მს ცენტრალური აპარატი	აფხაზეთის მს სამინისტრო	აჭარის მს სამინისტრო	იმერეთის მს სამხარეო მთ. სამმართველო	ქუთაისის მს სამმართველო	თერჯოლის მს რაიგანყოფილება,ფ	და ა. შ.
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	21	22

+

დანართი N3

(ფორმა N2)

საინ. N ---------- ----------

შენახვის ვადა ---------- გრიფი

ამოღებული (ჩამორთმეული), ნებაყოფლობით ჩაბარებული, ნაპოვნი შეიარაღების, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის ბრუნვის ჟურნალი N ---------

---

(ქვედანაყოფის დასახელება)

ტომი N ----------
დაიწყო ,, " ---------- 200 წ.
დამთავრდა ,, " ---------- 200 წ.
---------- ფურცელზე
ჟურნალი ---------- ტომი

რიგითი N	საცავში გაგზავნის მიმართვის ნომერი	მიმართვის მიხედვით ჩამბარებელი ორგანო	ჩამბარებლის ვინაობა პირადობის მოწმობის ნომერი, ხელმოწერა	მიღების აქტის ნომერი, თარიღი	იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის დასახელება						მიმღების გვარი ხელმოწერა	იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის გადაცემის აღნიშვნა				შენიშვნა
					საბჯოგა	სისტემა	კალიბრი	სერია, ნომერი	გამოშვების წელი	საბრძოლო მასალის დასახელება და რაოდენობა		ვის გადაეცა	გადაცემის საფუძველი, დოკუმენტი, ნომერი თარიღი	დაგაცემის ზედდებულის ნომერი, თარიღი	მიმღების ვინაობა, პირადობის მოწმობის ნომერი, ხელმოწერა	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17

+

დანართი N4

(ფორმა N3)

_____
(დანაყოფის დასახელება)

შეიარაღების აღრიცხვის და მიმაგრების წიგნი
ნაწილი 1 – შეიარაღების აღრიცხვა
ნაწილი 2 – შეიარაღების მომაგრების უწყისი

ნაწილი 1.
შეიარაღების აღრიცხვა

	ოპერაციების დასახელება შახელ წოდება და დოკუმენტის N	პისტოლეტები			7,62მმ ავტომატები			და სხვა		
		შემოსავალი	გასავალი	ნაშთი	შემოსავალი	გასავალი	ნაშთი	შემოსავალი	გასავალი	ნაშთი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

ნაწილი 2
შეიარაღების მიმაგრების უწყისი

	წოდება, გვარი, სახელი	დაკავებული თანამდებობა	Mმიმაგრებული საგნების დასახელება			მიღებაზე ხელმოწერა	აღნიშვნა შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის ჩაბარებაზე	
			9მმ მაკაროვის სისტემის პისტოლეტი	7,62მმ ავტომატები	და ა.შ.		ჩაბარების თარიღი	ხელმოწერა ჩაბარებაზე
1	2	3	4	5	6	7	8	9

+

დანართი N5
_____დან. სროლის კურსის
_____სავარჯიშოს შესასრულებლად

_____

(დანაყოფის დასახელება)

პირად შემადგენლობაზე სასროლეთზე საბროლო მასალის გასაცემ – ჩასაბარებელი უწყისი

გაცემის თარიღი	ვისზე გაიცა გვარი, სახელი	საბრძოლო მასალის დასახელება	რაოდენობა	ხელმოწერა მიღებაზე	ჩაბარება			ხლმოწერა მიღებაზე
					გაუხარჯავი ვაზნები	გამტყუნებული ვაზნები	გასროლილი ვაზნების მასრები	

ვაზნების დამრიგებელი
შეამოწმა/ სროლის ხელმძღვანელმა

+

დანართი N6

(ფორმა N5)

_____

(დანაყოფის დასახელება)

შეიარაღების და სპეციალურ საშუალებათა გაცემის და მიღების წიგნი

დაიწყო _____
დამთავრდა _____

ნაწილი I. შეიარაღების გაცემის და მიღების აღრიცხვა
განყოფილება ,,ა,, პისტოლეტების.
განყოფილება ,,ბ,, ავტომატების, შაშხანების, სასწავლო შეიარაღების და ა.შ.

განყოფილება ,,გ,, დროებით შენახვაზე

ნაწილი II. მორიგეების მიერ შეიარაღების მიღება და ჩაბარების აღრიცხვა.

ნაწილი III. სპეციალურ და თავდაცვითი საშუალებათა გაცემისა და მიღების აღრიცხვა.

ნაწილი I. შეიარაღების გაცემის და მიღების აღრიცხვა

,,ა,, განყოფილება (პისტოლეტები)

გაცემის თარიღი	ვისზე გაიცა (გვარი, ინიციალები, ჭოდება, თანამდებობა	პირადობის მოწმობის N	შეიარაღების დასახელება	გაცემულია			მიღებულია			მიმღების ხელმოწერა
				იარაღის ნომერი	მჭიდების ვაზნების რაოდენობა	მიმღების ხელმოწერა	მიღების თარიღი	იარაღის ნომერი და რაოდენობა	მჭიდების ვაზნების რაოდენობა	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
,,ბ,, განყოფილება, ავტომატები, შაშხანები და სხვა შეიარაღება										
,,გ,, განყოფილება, დროებით შენახვაზე										

ნაწილი II. მორიგეების მიერ შეიარაღების მიღებისა და ჩაბარების აღღიცხვა

N	მიღების და ჩაბარების თარიღი	მიმღების ჭოდება გვარი ინიციალები	პისტოლეტი ,,პმ”			პისტოლეტი ჩზ 75			ავტომატი ,,აკმს”			9მმ ,,პმ”-ის ვაზნები			9მმ ,,აკმს”-ის ვაზნები						ხელმოწერა ჩაბარებაზე	ხელმოწერა მიღებაზე
			ირიცხება	მათ შორის		ირიცხება	მათ შორის		ირიცხება	მათ შორის		ირიცხება	მათ შორის		ირიცხება	მათ შორის						
				კარა	ხმარ		კარა	ხმარ		კარა	ხმარ		კარა	ხმარ		კარა	ხმარ					

				დ ე ზ ო ი	ე ზ ა ო ი		დ ე ზ ო ი	ე ზ ა ო ი		დ ე ზ ო ი	ე ზ ა ო ი		დ ე ზ ო ი	ე ზ ა ო ი		დ ე ზ ო ი	ე ზ ა ო ი					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19			47	48

ნაწილი III სპეციალური და თავდაცვითი საშუალებების გაცემისა და მიღების აღრიცხვა

სპეცსაშუალებათა გაცემის თარიღი	ვისზე გაიცა	ვისი განკატგულებით გაიცა	გაცემულ სპეცსაშუალებათა რაოდენობა (ნომერი)							ხელმოწერა მიღებაზე	ჩაბარებულ სპეცსაშუალებათა რაოდენობა							ხელმოწერა ჩაბარებაზე	შენიშვნა
			,,ჩერომუხა''	ელექ\ტროშოკიგ	ხელკეტი	ხელბორკილი	/ჯავშანჟილეტი				,,ჩერომუხა''	ელექტროშოკიგ	ხელკეტი	ხელბორკილი	ჯავშანჟილეტი				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20

+

დანართი N7

(ფორმა N7)

_____უფროსი

_____

წოდება, ხელმოწერა

____ _____ 2006 წ.

ბ.ა.

_____რიცხული შეიარაღების აღრიცხვა

(თანამშრომლის წოდება, გვარი ინიციალები)

ბარათი _____

_____

(ორგანოს დასახელება, თანამდებობა)

_____

(საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონის N, პირადობის მოწმობის N)

რიგითი N	ოპერაციის თარიღი	დოკუმენტის N	ოპერაციის დასახელება	იარაღის სერია	ტაბელური შეიარაღება							იარაღის ტექნიკური მდგომარეობა	შემმოწმებლის ხელის მოწერა	თანამშრომლის ხელის მოწერა
					პისტოლეტი "პმ"	9მმ "პმ"-ის ვაზნა	"პმ"-ის სათადარიგო მჭიდი	თასმა	პისტოლეტი ჩზ 75	9 მმ "ჩზ"-ის ვაზნა				
1														
2														

+

დანართი N8

(ფორმა N9)

დანაკლისების აღრიცხვის წიგნი

ნომენკლატურა N---------- ანგარიშის ერთეულის N----------

N/N	ري გ ი თ ი N	ჩანაწ ერის თარი ღი	შემო სული ნომ ერი ჟურნ ალის მიხედ ვით	მოქმედების დასახელე ბა (საიდან-სად შემოვიდა ან გავიდა და დოკუმენ ტის N	მოძრაობა			მოძრ აობა	ც. ა.	აჭარის ა/რ შს მთ. სამმა რთვე ლო	აფხა ზეთის ა/რ შს მთ. სამმა რთვე ლო	რაჭა-ლეჩხუ მის და ქვემო სვანე თის სამხ. შს მთ. სამმა რთვე ლო	გურიის სამხ. შს მთ. სამმა რთვე ლო	კახეთის სამხ. შს მთ. სამმა რთვე ლო
					შემ ოსა ვა ლი	გას ავა ლი	საერ თო ნაშთ ი							
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

გაგრძელება

სამცხე-ჯავახ ეთის სამხ. შს მთ. სამმა რთვე ლო	ქვემო ქართ ლის სამხ. შს მთ. სამმა რთვე ლო	შიდა ქართ ლის სამხ. შს მთ. სამმა რთვე ლო	მცხეთა-მთია ნეთის სამხ. შს მთ. სამმა რთვე ლო	სამეგრ ელო და ზემო სვანეთ ის სამხ. შს მთ. სამმარ თველო	იმერე თის სამხ. შს მთ. სამმარ თველო	ქ. თბილი სის შს მთ. სამმარ თველო	საპატ რულო პოლიცი ის დეპარ ტამენტი	ქ. თბი ლისის საპატრ ულო პოლიცი ის სამმარ თველო				
15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27

+

დანართი N9

(ფორმა N10)

იარაღზე ნომრის ამოტვიფრვის ტექნიკური მონაცემების ნორმები

1. იარაღზე შესრულებული სააღრიცხვო ნომრის გასწვრივ კეთდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დამღა Ф;
2. სააღრიცხვო სრულდება ფრეზერების მეთოდით გრავირების, საკოპირე, პანტოგრაფიან საფრეზ ჩარხზე (მოდელი 6 Л 463);
3. ნომრის წარწერისათვის გამოყენებულ იქნას ლათინური ან რუსული შრიფტი;

4. ციფრების სახე – არაბული;
5. შრიფტის ზომა – ასოებისა და ციფრების სიმაღლე მმ _ 3,5 + 0,3;
6. ასოებისა და ციფრების სიგანე, მმ (2,5 _ 3,5) + 0,3;
7. ასოებისა და ციფრების დახრა, გრადუსი _ 0;
8. მანძილი სააღრიცხვო ნომერში შემავალ ასოებსა და ციფრებს შორის, მმ _ 1 + 0,3;
9. მანძილი ასოებსა და რიცხვით აღნიშვნებს შორის, მმ 3,5
10. ასოებისა და ციფრების სისქე, მმ _ 0,5 _ 0,7;
11. ასოებისა და ციფრების სიღრმე, მმ _ 0,3 _ 0,5.
12. უნომრო იარაღზე სააღრიცხვო ნომრის ფორმა

A 001 Φ 05

სადაც, A – არის სერია;
001 – მინიჭებული სააღრიცხვო ნომრის რიგითი ნომერი;
Φ სამინისტროს სპეციალური დამღა;
05 – სააღრიცხვო ნომრის მინიჭების

+

დანართი N10

(ფორმა N11)

_____
(დანაყოფის დასახელება)

შემოსავალი, გასავალი და სააღრიცხვო დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალი

დაიწყო “___ “ _____ 200 წ.

დამთავრდა “ ____” _____ 200 წ.

დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი	ჩანაწერების თარიღი	დოკუმენტის დასახელება, საიდან შემოვიდა, მისი N	ფურცლების რაოდენობა	ხელმოწერა დოკუმენტის მიღებაზე	ხელმოწერა დოკუმენტის ჩაბარებაზე	დოკუმენტის შენახვის ადგილი

1	2	3	4	5	6	7

+

დანართი N11

(ფორმა N12)

N	შეიარაღების დასახელება	შესასრულებელი სამუშაოს საფუძველი	სამუშაოს შინაარსი	დაზიანებული და დაკარგული ნაწილების ახალი ნაწილებით შეცვლის მიზეზი	გახარჯული სათადარიგო ნაწილების ჩამოწერის აქტი

+

დანართი N12

(ფორმა N13)

N	იარაღის დასახელება	სამუშაოს შესრულების საფუძველი	ახლად მინიჭებული ნომერი	აღდგენილი ნომერი		სამუშაოს შესრულების მიზეზი	შენიშვნა
				ჩარჩოზე	საკეტზე		

+

დანართი N13

(ფორმა N14)

---------- იარაღის დათვალიერების ----------

უ წ ყ ი ს ი

N რიგზე	საგნების დასახელება	იარაღის N	გამოშვების წელი	კატეგორია	შენიშვნა

კომისიის თავმჯდომარე: ----------

კომისიის წევრები: 1. ----------

2. ----------

,, " ---------- 200 წ.

+

დანართი N14

(ფორმა N15)

გასავლის (შემოსავლის) ზედდებული N _____

,, " ---------- 200 წ.

საწყობის გამგეს ----------

გაეცით ----------

საფუძველი _____ პირადობის მოწმობის N _____

მინდობილობის N ----------

N რიგზე	შეიარა ღებისა და აღჭურვი ლობის დასახელება	საზომი ერთეული	გაეცით (მიიღეთ)		გაცემულია (მიღებულია)		შენი შვნა
			რაო დენობა	კატე გორია	რაო დენობა	კატე გორია	
1	2	3	4	5	6	7	8

სამსახურის უფროსი _____ მიიღო _____
ინსპექტორი _____ გასცა _____

+

დანართი N15

(ფორმა N16)

იარლიყი N ----------
ნივთმტკიცება
N----------
ს.ს. საქმე N ----------
ფუთების რაოდენობა ----------
მიმართვის მიხედვით შეიარაღების
დასახელება და რაოდენობა ----------

ჩამბარებელი: ----------
ლუქი ----------
სათავსოს ადგილი ----------

ხელმოწერა
თარიღი ----------
_____

იარლიყი N ----------
ნივთმტკიცება

N----------
სათავსოს ადგილი ----------

ხელმოწერა
თარიღი ----------

+

დანართი N16

(ფორმა N17)

შემცვლელი ბარათი 1 _____

გაიცა _____
(წოდება, გვარი, სახელი)

მასზედ, რომ მისგან მიღებულია შესანახად
_____
(იარაღის დასახელება, სერია, ნომერი და დამზადების წელი)

ვაზნები _____ ც. მჭიდები _____ ც.

თანამშრომლის პირადი ხელმოწერა _____

ბ.ა.

დანაყოფის უფროსი _____
(ხელმოწერა)

_____ _____200 წ.
ფორმის განმარტება

+

დანართი N17

(ფორმა N18)

მიღება-ჩაბარების აქტი N ----------

,, ' ---------- 200 წ.

(მიმღები პირის თანამდებობა, გვარი და ინიციალები)

(წარმომდგენი დანაყოფის, დაწესებულების დასახელება)

ჩამბარებელი ---------- რეგისტრაციის N ----------

მიღებისას აღმოჩნდა შემდეგი:

N	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	რაოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4

მიიღო ----------

ჩააბარა ----------

+

დანართი N18

(ფორმა N20)

საინ. N ---------- ----------

შენახვის ვადა ---------- გრიფი

საწყობში ჩაბარებული ნივთმტკიცების ბრუნვის
ჟურნალი N ---------

(ქვედანაყოფის დასახელება)

ტომი N ----------
დაიწყო ,, " ---------- 200 წ.
დამთავრდა ,, " ---------- 200 წ.

---------- ფურცელზე
ჟურნალი ---------- ტომი

რიგითი და მიმართვის ნომერი	ნივთმყკიცების ნომერი	საიდან შემოვიდა, რომელ სს საქმეზე, მიმართვის მიხედვით ნივთმტკიცების დასახელება, რაოდენობა	რა სახით არის შეფუთული ნივთმტკიცება, მისი მთლიანობა, ფუთების რაოდენობა, ლუქის N, ტექსტი	ჩამბარებლის ვინაობა, პირადობის მოწმობის N, ხელმოწერა	მიღების აქტის N, თარიღი	შენახვის ადგილი	საწყობის მუშაკის გვარი, ხელმოწერა, თარიღი	არსებობის შემოწმების აღვნიშვნა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

+

დანართი N19

საინვენტარიზაციო აღწერა და (შესამოწმებელი უწყისი) N----------

ფორმა N401

,,---' ,,----------' 200 ,,---'

დაწესებულება ----------

განყოფილება ----------
მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ----------

კომისიის შემადგენლობა: ----------

თანამდებობა, გვარი, ინიც.

თანამდებობა, გვარი, ინიც.

თანამდებობა, გვარი, ინიც.

თანამდებობა, გვარი, ინიც.

თანამდებობა, გვარი, ინიც.

---------- საფუძველზე
ჩაატარა ---------- შეამოწმა ----------
შემოწმების ადგილი ----------
გვარი, სახელი, მამის სახელი, მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ----------
---

დაწესებულების ხელმძღვანელის დასკვნა

ხელწერილი
(ფორმდება ინვენტარიზაციის დაწყებამდე)

ინვენტარიზაციის ჩატარების დაწყებისას ყველა საბუთები, რომლებიც შეეხებიან ფასეულობათა შემოსვლას და ხარჯვას, ჩაბარებულია ბუღალტერიაში და რომ არავითარი შემოსავალში აუღებელი ან ხარჯში ჩამოუწერავი ფასეულობა არ გაგვაჩნია.

მატერიალური პასუხისმგებელი პირი ---------- ---------- ----------
თანამდებობა ხელმოწერა ხელმოწერის გაშიფვრა

,,---" ,,----------" 200 წ.

მოცემული ინვენტარიზაციის აღწერაში ჩამოთვლილი ფასეულობანი N დან N -მდე კომისიი მიერ შემოწმებულია ნატურაში და შეტანილია აღწერაში ჩემი თანდასწრებით, რაზედაც არავითარი პრეტენზია საინვენტარიზაციო კომისიის მიერ

არა მაქვს. ჩამოთვლილი ფასეულობანი იმყოფება ჩემი პასუხისმგებლობის ქვეშ.

---------- ,,----" ,,----------" 200 წ.

ხელმოწერა

N რიგითზე	სანომენკლატურო ან საინვენტარიზაციო N	ფაქტიურად სახეზე არსებულის შემოწმებისას აღმოჩნდა				საბუღალტრო მონაცემები		ინვენტარიზაციის შედეგები				შენიშვნა
		ფასეულობათა დასახელება	ფასი	როდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	დანაკლისი		ზედმეტობა		
								რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	

კომისიის წევრები: ---------- ----------

ხელმოწერა ხელმოწერის გაშიფვრა

---------- ----------

ხელმოწერა ხელმოწერის გაშიფვრა

---------- ----------

ხელმოწერა ხელმოწერის გაშიფვრა

დანაყოფის უფროსი ---------- ----------

ხელმოწერა ხელმოწერის გაშიფვრა